3

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №837

საქონლის სახელმწიფო შესყიდვა

ქ. თბილისი «24» დეკემბერი 2015 წ.

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები:**

შემსყიდველი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **თენგიზ ნასარიძის** სახით.

მისამართი: 0112, ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20.

სკ. 204900483.

საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი TRESGE22.

მიმწოდებელი – შპს „მკს", წარმოდგენილი დირექტორის **სერგო კორინთელის** სახით.

მისამართი: თბილისი, წალენჯიხის ქ. №20 ტელ: 595 35 86 01
ს.კ. 206256727
ბანკი: სს "თი-ბი-სი ბანკი"
ანგ. ნომერი: GE30TB7363136070100002
ბანკის კოდი: TBCBGE22

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3[1] პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი.** (CPV 38500000)

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და დანართი №1-ის (საქონლის დასახელება, მიწოდების პირობები და ფასები) შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 66 009.20 (სამოცდაექვსი ათას ცხრა ევრო და 20 ევრო ცენტი) ევროს 2015 წლის 24 დეკემბერს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის (2.6342) შესაბამისად ლარში, **173 881.44** ლარს (ასსამოცდაცამეტი ათას რვაასოთხმოცდაერთი ლარი და 44 თეთრი) და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, ტრანსპორტირებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს.

3.2. საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრება დანართი №1-ით.

4. **ანგარიშსწორება**

4.1. მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება, მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე (მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა).

4.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს

4.3. თუ გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება გარანტიის ვადის ამოწურვამდე შესრულდა, გარანტიის (მათ შორის შესრულებული ვალდებულების ნაწილში) მოქმედების ვადა ვადამდე შეწყდება ან შემცირდება, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის ვალდებულების შესრულების დადასტურების შემთხვევაში.

4.4. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
4.5. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (საბანკო გადარიცხვა).
4.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილ პირობათა გათვალისწინებით, თუ ანგარიშსწორების დღისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ევროს კურსი, ხელშეკრულების გაფორმების დღეს დადგენილ კურსთან მიმართებაში, შეიცვლება (მოიმატებს ან დაიკლებს) 5% და მეტი ოდენობით, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით შეიცვალოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ფასიც, ამასთან კურსის გაზრდის შემთხვევაში მატებამ (როგორც ერთჯერადმა, ასევე, ჯამურმა) არ უნდა გადააჭარბოს თავდაპირველად შემოთავაზებული წინადადების ფასის 10%-ს.
4.7. 4.6. პუნქტის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე უნდა აისახოს ორმხრივად ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენით.

5. საპატენტო უფლებები

5.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:
6.1.1. **საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი** – შეკვეთის მიცემის, შესრულების ვადების, მიღება-ჩაბარების, საქონლის ხარისხის და რაოდენობის (მოცულობის) კონტროლის საკითხებზე;
6.1.2. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი- 6.1.1 ქვეპუნქტით გაუთვალისწინებელ საკითხებზე;
6.2. კონტროლის განხორციელებისას მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 22-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1. შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ხელშეკრულებით დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას 2015 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.
7.2. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი 2015 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით წარმოადგენს წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტიას მიუწოდებელი საქონლის ღირებულების სრულ ოდენობაზე, დარჩენილი საქონლის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს 2016 წლის 29 თებერვლისა.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ან მისი ნაწილის მიწოდებისას წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

8. ხარისხი

8.1. საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები განსაზღვრულია დანართი №1-ით და/ან წარმოდგენილი ნიმუშით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
8.2. საქონლის ან ყოველი მისი პარტიის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებისა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებს და/ან წარმოდგენილი ნიმუშის (ნიმუშის წარდგენის ვალდებულების შემთხვევაში) პარამეტრებს.
8.3. მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 6.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
9.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისთვის საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი.
9.3. საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს საქონლის საბოლოოდ მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია დროებით შენახვაზე მიღებული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხოლო პარტიებათ მიწოდებულ საქონელზე, ყოველი პარტიიდან მიწოდებული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საქონლის დროებით შენახვაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ გადააგზავნოს შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში.
9.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით შენახვაზე შემსყიდველისათვის გადაცემული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხოლო პარტიებათ მიწოდებულ საქონელზე, ყოველი პარტიიდან მიწოდებული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაჩქარებული წესით დადგენის მიზნით, საქონლის დროებით შენახვაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შემსყიდველთან შეთანხმებულ შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში საქონლის ნიმუშ(ებ)ის ტრანსპორტირების და საექსპერტო კვლევის ხარჯებს იხდის მიმწოდებელი.
9.6. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:
9.6.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო); ან/და
9.6.2. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში); ან/და
9.6.3. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები; ან/და
9.6.4. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია; ან/და
9.6.5. ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია; ან/და
9.6.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.7. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის მიმწოდებელს და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან, აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
9.8. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
9.9. მიმწოდებელი ვალდებულია, გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის) საქონელი.

10. უფლებების გადაცემა

10.1. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

11. გარანტია

11.1. მიწოდებული საქონლის სრულფასოვანი ფუნქციონირების (ვარგისობის) საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს, რომელიც აითვლება მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.
11.2. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, 6.1.1 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მოთხოვნიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მოახდინოს წუნდებული ნივთის შეცვლა. თუ მიმწოდებელი აღნიშნულ ვადაში არ შეცვლის წუნდებულ ნივთს, იგი ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობით გაზრდა.

13.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდესორმხრივად ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.6. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

14.1.1 საქონლის მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,15% ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე.

14.2. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:

14.2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;

14.2.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს საქონლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 14.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად;

14.3. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შეთანხმებულ ვადაში მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,15%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაუხდელი თანხის 1.5%-ისა.

14.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

14.5. საქონლის მიუწოდებლობისათვის დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, იმის მიხედვით თუ ამ გარემოებებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.

14.6. თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის გამო დღეების მიხედვით პირგასამტეხლოს დარიცხვა ვერ ხორციელდება ან დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამი იქნება ხელშეკრულების ღირებულების 9%-ზე ნაკლები, მიმწოდებელს დაეკისრება მხოლოდ ფიქსირებული პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 9%-ის ოდენობით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ 10 სამუშაო დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გ) თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე არ განხორციელდება ანგარიშსწორება 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ფორს-მაჟორი

16.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

16.2. „ფორს-მაჟორის" ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

16.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

16.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

16.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

17.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. შეტყობინება

19.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მომწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

20. სხვა პირობები

20.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 28 აპრილის ჩათვლით.

20.2. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

20.3. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
20.4. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო დღე არის კალენდარული დღე შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისგარდა.
20.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) იდენტურ ეგზემპლარად.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
თ. ნასარიძე	ს. კორინთელი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს	შპს „მკს“-ს
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის	დირექტორი
უფროსის მოადგილობის	
შემსრულებელი	
.....	.....

საქონლის (სპანერი განადმვითი სამუშაოებისთვის) დასახელება, მიწოდების პირობები და ფასები

№	საქონლის დასახელება	კომპლექტი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ევრო)	თანხა სულ (ევრო)	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	FEREX DLG DATALOGGER ENGLISH	1	1	13250	13250	ხელშეკრულების 7.1. და 7.2. პუნქტების შესაბამისად	6.1.1 პუნქტში მითითებული პირების მოთხოვნის შესაბამისად
2	CONTROL UNIT WITH DATALOGGER ENGLISH		1				
3	FEREX PROBE CON 650		1				
4	CABLE 0.6M F. CON 650 - DLG		1				
5	CARRYINGHANDLE WITH CONTACT SET		1				
6	BATTERY PACK		1				
7	D-CELL 1.5V IEC LR20 (ALKALINE)		4				
8	OPERATING INSTRUCTIONS + DATALOAD2 SOFTWARE		1				
9	CASE		1				
10	CARRYING STRAP		1				
11	DATA TRANSFER CABLE DATALOGGER(I/O1)- PC(RS232)		1				
12	START/STOP HANDGRIP WITH CABLE		1				
13	USB ADAPTER,SERIAL,TYPE A ST/9P INCL. DRIVER CD, UC232A		1				
14	FEREX PROBE CON-650		2	4980	9960		
15	3-PROBE SET COMPL. WITH CABLE AND CASE		1	6740	6740		
16	WHEEL SET F.3-PROBE HOLDER		1	1520	1520		
17	DATA2LINE DEMO WITH USB-DONGLE		1	0	0		
18	DATA2LINE MODUL BASIC		1	1080	1080		
19	DATA2LINE MODUL UXO		1	4330	4330		
20	FEREX DLG DATALOGGER ENGLISH	1	1	13250	13250		
21	CONTROL UNIT WITH DATALOGGER ENGLISH		1				
22	FEREX PROBE CON 650		1				
23	CABLE 0.6M F. CON 650 - DLG		1				
24	CARRYINGHANDLE WITH CONTACT SET		1				
25	BATTERY PACK		1				
26	D-CELL 1.5V IEC LR20 (ALKALINE)		4				
27	OPERATING INSTRUCTIONS + DATALOAD2 SOFTWARE		1				
28	CASE		1				
29	CARRYING STRAP		1				
30	DATA TRANSFER CABLE DATALOGGER(I/O1)- PC(RS232)		1				
31	START/STOP HANDGRIP WITH CABLE		1				
32	USB ADAPTER,SERIAL,TYPE A ST/9P INCL. DRIVER CD, UC232A		1				
33	DATA2LINE DEMO WITH USB-DONGLE		1	0	0		
34	DATA2LINE MODUL BASIC		1	1080	1080		
35	DATA2LINE MODUL UXO		1	4330	4330		
36	ტრანსპორტირება	2	2	200	400		
	დღგ				10069.2		
					66009.20		

შემსყიდველის მხრიდან:

თ. ნასარიძე
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებლის მხრიდან:
ს. კორინთელი
შპს „მკს"-ს დირექტორი